საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით სირბილაძე

მომხმარებელთა მართვის განვითარებული სისტემების პროექტირება ბაზისური მომხმარებელთა მართვის სქემების ბაზაზე

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა ინფორმატიკა

შიფრი 0401

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2019 წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **დავით სირბილაძის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: მომხმარებელთა მართვის განვითარებული სისტემების **პროექტირება ბაზისური მომხმარებელთა მართვის სქემების ბაზაზე** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის _ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

_ _ _ _ _ , _ _ _ _ _ 2019 წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი თ. ბახტაძე

რეცენტენტები: ______________________________

____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019 წ

ავტორი: დავით სირბილაძე.

დასახელება: მომხმარებელთა მართვის განვითარებული სისტემების პროექტირება ბაზისური მომხმარებელთა მართვის სქემების ბაზაზე.

სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

რეზიუმე

დღესდღეობით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება გარდამტეხი ცვლილებების პირასაა. სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მანქანური სწავლების სფერო, რაც გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე იძლევა ხელოვნური ინტელექტის შექმნის საშუალებას. პროგრამირების ენების მეშვეობით არაერთი მანქანა გარდაიქმნა მოაზროვნე მოწყობილობად. ახლა უკვე შესაძლებელია საკუთარი რობოტის ყოლა, რომელიც დაგვეხმარება სხვადასხვა ამოცანის მაქსიმალური ეფექტურობით შესრულებაში, რაც მათი მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად დღითიდღე ამატებს მათსახეობებს.

მოცემულ დისერტაციაში განხილულია მომხმარებელთა მართვის გამარტივებული სისტემის დაპროექტების რამდენიმე ძირითადი მეთოდი და დეტალურადაა აღწერილი მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ძირითადი სამუშაო შევასრულე PHP ძრავზე, რომლითაც დავუკავშირდი Microsoft Active Directory მომხმარებელთა და ობიექტთა ქსელურ ბაზას და ანალიზისა დაკვირვების შედეგად ავაწყე სრულყოფილი პროექტი ვებ აპლიკაციის სახით, რომელიც ინტეგრაციისა და სინქრონის მეშვეობით ამუშავებს უფლებების მიხედვით შემოსულ აქტიურ თანამშრომლებს.

თემა აქტუალურია, რადგან თანამედროვე კომპანიებს სჭირდებათ პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მარტივად და საიმედოდ იმუშავებს და ხელს შეუწყობს მათ მზარდ განვითარებასა და პროგრესს როგორც ტექნოლოგიურად, აგრეთვე ტექნიკურად.

გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ფართო მაგალითი არის ინტრანეტი, რომელიც გაუადვილებს კომპანიის სამმართველოს ადმინისტრირების პროცესს და დაუზოგავს დროს მათ ქსელურ და სისტემურ ადმინისტრატორებს, რომელთა ფუნქციის ნაწილობრივ შესრულებას შეძლებს ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროგრამა.

AD-სთან ინტეგრირების მეშვეობით მომაქვს ყველა აქტიური და არააქტიური მომხმარებლების დეტალური პირადი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, მათი სახელი, მეილი, პოზიცია, დეპარტამენტი, ფილიალი, მობილური და შემდგომ ვაანალიზებ ამ ყველა შეგროვებულ ინფორმაციას და ვიყენებ ჩემს აპლიკაციებში.

მომხმარებლების წამოღება შეიძლება როგორც თითოეულად, აგრეთვე ჯგუფურად, რაღაცა კატეგორიით გაერთიანებული, მაგალითად ოთახებით ან სართულებით - როგორც არის დალაგებული AD იერარქიის სტრუქტურის ხე.

აგრეთვე შეგვიძლია რამდენიმე კომპანია გვქონდეს ერთ ბაზაში და ვმართავდეთ მათ ცენტრალიზებულად, რის გამოყენებასაც შევძლებთ მუშაობის პროცესის გამარტივებისთვის და სრულყოფისთვის.

მომხმარებლების ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, რომ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან და დავახარისხოთ პროგრამული უზრონველყოფის გამოყენებისთვის სხვადასხვა უფლებებით და

კატეგორიებით, რისი მიღწევაც შესაძლებელია ამომცნობი ხელოვნური ინტელექტის შექმნით.

როცა გვჭირდება მაგალთად გაყიდვების რეპორტი, რომელიც უნდა გამოიყენოს ფილიალის მენეჯერმაც, სესხის ოფიცერმაც, გაყიდვების აგენტმაც და ანალიტიკოსმაც, მაგრამ უნდა ჰქონდეთ განსხვავებული ხედვები - ამის გასაკეთებლად გამოვიყენებდით 4 სხვადასხვა რეპორტს მსგავსი სტრუქტურით და დავტვირთავდით ზედმეტად როგორც პროგრამისტებს, აგრეთვე მანქანას.

AD-სთან ინტეგრირება იძლევა იმის საშუალებას, რომ გავარჩიოთ, თუ რომელი მომხმარებელი არის ამჟამად ავტორიზებული და მისთვის ისეთი რეპორტის შექმნა, რომელიც ავტომატურად დაუგენერირებს მისთვის განკუთვნილ სასურველ შედეგს.

AD-დან წამოღებული ინფორმაციის გარჩევა შესაძლებელია პროგრამული კოდით, მისი საკუთარ ბაზაში ჩაწერა და გამოყენება შემდგომი საჭიროებისამებრ და მომდევნო ანალიზი.

პროგრამული მხარისთვის გამოყენებული მაქვს PHP სკრიპტული ენა, რომელსაც აქვს ყველა საჭირო მხარდაჭერის ძრავი, რომ დაუკავშირდეს LDAP ტექსტური მისამართებით მომხმარებლურ ბაზას და აწარმოოს მასზე სინქრონი და სხვადასხვა ოპერაციები.

PHP AdeLdap არის ბიბლიოთეკა, რომელსაც შეუძლია Active Directory სერვერიდან ინფორმაციის წამოღება, განახლება, რედაქტირება, წაშლა, მოდიფიკაცია, შესწორება, დაგენერირება, შევსება.

იგი არის საკმაოდ მძლავრი პროგრამა, თუმცა ხარვეზები მაინც გააჩნია. მისი მეშვეობით სრული ძალაუფლება და წვდომა ირთვება პროგრამული კოდიდან მომხმარებლების ცენტრალიზებულ ბაზაზე, რაც კომპანიისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

არასწორი ან შემთხვევითი კოდის გაშვებისას შესაძლებელია წაიშალოს მთელი მომხმარებლური ბაზა, მათი ინფორმაცია, დაიკარგოს ყველა დანართი.

პროგრამის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი მიზნით. კარგი მენეჯმენტით და დაფიქრებით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მას შეუძლია კომპანიის ფუნქციონირების უკეთესობისკენ შეცვლა.

მასზე იწერება ისეთი პროცესი, როგორიცაა თანამშრომლების მოსვლა-წასვლა, გასვლები, პროგრამებში შესვლები, ღილაკებზე დაჭერები, გვერდების დათვალიერებები, რეპორტების გენერაცია და მრავალი სხვა.

მისი ბაზის ერთხელ შევსება გვაძლევს საშუალებას რომ იგი გამოვიყენოთ აბსოლუტურად ყველგან - მეილზე, კალენდარში, კომუნიკატორში, რეპორტინგ სერვერზე, კომპიუტერში, ბაზებში და საკუთარ აპლიკაციებში.

ერთი ცვლილება მოქმედებს ყველა პროდუქტზე, რომელსაც იყენებს მომხმარებელი. არ არის საჭირო ყველას ცალ-ცალკე განახლება.

Resume

Nowadays our daily life is on the edge of change. Information processing currently is becoming more and more actual problem, what interacts with our daily lives. Moderntechnologies already provide the development of artificial intelligence. With the help of programming languages, many machines got the ability to think. Now it is possible to have your own robot, which will help us to perform various tasks with maximal efficiency, thenumber and types of which increases every day with a very high speed.

This dissertation discusses several key methods of designing a simplified system of customer management and describes their advantages and disadvantages.

Basic work on the PHP engine that I connected with Microsoft Active Directory is a network of users and objects, and as a result of analyzing the process, you can create a complete project as a web application that collects the active employees with their rules through integration and synchronization.

The theme is relevant because modern companies need software that is easy and reliable and will enhance their development and progress both technologically and technically.

One of the most widely used examples is the intranet that facilitates the management of the company's division and saves time for their network and system administrators whose part of the function is partially implemented by us.

By integrating with AD I have detailed personal information of all active and inactive users such as their name, email, position, department, branch, mobile and further analyzing all these information and use it in my applications.

Consumers can be collected either in groups or in groups, such as rooms or floors, as is the structure of the hierarchy structure of the AD hierarchy.

We can also have several companies in a single database and we use them centrally, which can be used to simplify the work process and to improve.

Users' information allows us to discern each other and draw a variety of rights and categories for the use of software accessibility, which can be achieved by creating artificial intelligence.

When we need a sales reporse, which should be used by a branch manager, a loan officer, a sales agent, and an analyst, but we should have different visions - to do that, we would use 4 different reports with a similar structure and loaded over as a programmer and a machine.

Integrating with AD allows you to find out which user is currently authorized and creating a report that automatically generates the desired result.

The information received from the AD can be distinguished with acode, recording and using it in its own database and further analysis and subsequent analysis.

For the software side I have a PHP script language that has all the supporting engine to communicate with the LDAP text addresses to the user base and to synchronize it with different operations.

PHP AdeLdap is a library that can fetch, update, edit, delete, modify, generate, and fill out the information from Active Directory Server.

It is a very powerful program, but still has drawbacks. With full power and access it processes the software code from the centralized base of users, which is a threat to the company.

When running incorrect or random code, it may be possible to remove all user base, their information, and all the attachments.

The program can be used for any purpose. With good management, you will come to the conclusion that it can change the functionality of the company.

It is written on a process such as the arrival of employees, departures, logging in programs, clicking on buttons, browsing pages, generating reports, and much more.

Once again, its base allows us to use it absolutely everywhere - mail, calendar, communicator, reporting server, computer, bases and in your own applications.

One change affects all products that the user uses. No need to update everyone separately.

შინაარსი

სურათების ნუსხა

კოდების ნუსხა

აბრევიატურების ნუსხა

AD - Active Directory.
MS - Microsoft.
BI - Business Intelligence.
SSRS - SQL Server Reporting Services.
Hr - Human Resources.
Admin - Administrator.
v - Version.
N - Number.
LDAP - Lightweight Directory Access Protocol.
P.O. - Post Office.
SQL - Structured Query Language.
MVC - Model, View, Controller.
JS - Javascript.
DB - Database.
OS - Operational System.
DNS - Domain Namespace.
DHCP - Dynamic Host Configuration Protocol.
WAN - Wide Area Network.
IT - ინფორმაციული ტექნოლოგიები.
VB - Visual Basic.
DOB - Day of Birth.
UCS - Univention Corporation Server.
IBM - International Business Machines.
e - electronic.
SASL - Simple Authentication and Security Layer.
DSML - Directory Services Markup Language.
SOAP - Simple Object Access Protocol.
SSO - Single Sign-On.
NTDS - NT Directory Services.

შესავალი

დღევანდელი თანამედროვე სამყარო ტექნოლოგიური განვითარების პიკზე დგას. პროგრამებისა და აპლიკაციების აწყობა უკვე მულტიმომხმარებლური მიდგომითაა საჭირო. ყველაფერი ეყრდნობა მსოფლიო ქსელსა და ინტერნეტს. შესაბამისად, აპლიკაცია, რომელსაც უშვებენ კომპანიები, უნდა იყოს უნივერსალური, უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და გასაგები. ხალხის ყოველი კატეგორიისთვის ცალკე აპლიკაციის დაწერა არის დიდი დროისა და რესურსის კარგვა, რისთვისაც ინერგება სისტემები, რომლების მიხედვითაც ხდება მომხმარებლების მახასიათებლების ამოცნობა და მათი გარჩევა ერთმანეთისგან.

ნაშრომშიგანხილულია მიდგომები მომხმარებლებისა და მათი მახასიათებლების ამოსაკითხად სწრაფად, მარტივად და საიმედოდ. თემაში შემოთავაზებულია მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამიჯვნა ერთმანეთისგან და სწორი მიმართულება საკუთარ აპლიკაციაში დანერგვისთვის.

მაგალითად, მომხმარებელს, რომელსაც უყვარს ლურჯი ფერი და მომხმარებელს, რომელსაც უყვარს მწვანე ფერი, არ უნდა მივცეთ აპლიკაცია, რომელიც არის წითელი ფერის. ასევე გამორიცხულია მაგათთვის ცალ-ცალკე ფერის აპლიკაციის შექმნა. ყოველ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ თვითონ აირჩიოს მისთვის სასურველი ფერი, რა ქმედებაც უნდა დაიმახსოვროს აპლიკაციამ. მოხმარებელი ერთხელ რომ აირჩევს პარამეტრს, მეორედ შესვლისას იმ არჩეული პარამეტრით უნდა ჩაიტვირთოს პროგრამა.

მომხმარებლების ერთმანეთისგან გამორჩევისთვის არსებობს რამდენიმე მიდგომა. ერთია საკუთარი მომხმარებლების ბაზის შექმნა და მასთან მუშაობა, მეორე კი არის რამე არსებული მომხმარებლური სისტემის ინტეგრირება საკუთარ აპლიკაციაში. ორივე მიდგომას აქვს თავისი პლიუსებიც და მინუსებიც.

თუ საკუთარი ბაზის აწყობა გვინდა, მაშინ ბევრი მუშაობა მოგვიწევს და ყველაფერი უნდა გავხადოთ დამოკიდებული მასზე. ყველა ნაწილი იქნება მიბმული მასზე და იქნება მუდმივი ჩაწერა-წაკითხვა და თუ რამეს არასწორად გავაკეთებთ, მაშინ ჩამოეკიდება მთელი აპლიკაცია ან როგორც მინიმუმ რამე ნაწილი იმუშავებს არასწორად.

შესარჩევია შესაფერისი და სათანადო ბაზა, სადაც გასათვალისწინებელია აპლიკაციის მოთხოვნები, მომხმარებლების მოცულობა, რაოდენობა, ლოკაცია, სეგმენტი და ა.შ.

თუ ავირჩევთ MySQL ბაზას - იგი სწრაფია, მაგრამ თუ არ გავმართავთ, არ არის სტაბილური, შეიძლება გაჭედოს, ვერ დაამუშავოს მონაცემები და შეჩერდეს მთელი პროგრამა მაგის გამო. თუ ავირჩევთ MSSQL ბაზას, მაგას სჭირდება დიდი რესურსი, მაგრამ საიმედოობაც მეტია. ასევე მინუსია, რომ წერა მეტი სჭირდება. გასათვალისწინებელია აპლიკაციის ძრავიც. მაგალითად თუ გვაქვს PHP სერვერი, მას უჭირს MS ბაზებთან მუშაობა და მაგის მოგვარებაზე ცალკე დრო დაიხარჯება.

თუ გვინდა რამე არსებული სისტემის გამოყენება და ჩასმა ჩვენთან, მანდ უნდა დავფიქრდეთ პლატფორმაზე. არის როგორც ფასიანი, ასევე უფასო ვერსიები. უფასო ვერსიები შეზღუდულია შესაძლებლობებში. თუ გაკმაყოფილებთ ეგ ლიმიტები, მაშინ შეგვიძლია დაპროგრამების დაწყება.

ასევე არსებობს შერეული სისტემები, რომლებშიც ინტეგრირებულია როგორც გარე სამომხმარებლო ბაზები, ასევე შიდა სერვისები, რომლებსაც იყენებენ ინფორმაციის გადამუშავებისთვის და დახარისხებისთვის. თუ არის შესაძლებლობა, მაშინ ეგ ყოველმხრივ უფრო მოქნილია და გამოსადეგი. წვდომები ნაწილდება. ზოგი იმართება გარე სისტემის მიერ, ზოგი კი - იწერება პერსონალურ ბაზებში. ამ ორის ერთად შერწყმით კი გვევლინება ერთი დიდი სრულყოფილი პროგრამა მძლავრი სქემის სახით.

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ მოხმარებადი სისტემა არის ინტრანეტი, რომელსაც იყენებს ფაქტიურად ყველა კომპანია. იგი ძირითადად გამოიყენება და მოიხმარება შიდა კომუნიკაციისთვის და

ფაილების გაცვლისთვის. შესაბამისად, სისტემა უნდა მუშაობდეს ლოკალურად და არ უნდა იყოს მისი ქსელს გარეთ გასვლა და ინფორმაციის გაჟონვა.

უსაფრთხოება პრიორიტეტი არ არის ასეთ სისტემებში, მაგრამ როცა კომპანია დიდია, შესაძლებელია რომ ზოგიერთი თანამშრომელი აღმოჩნდეს ბოროტმოქმედი და პროგრამის სისუსტეები გამოიყენოს ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ დავიწყებდი თემის წერას, ბევრი ვეძიე მსგავს ნაშრომებს, მაგრამ მიმსგავსებული პუბლიკაციები ინტერნეტ სივრცეში ფაქტიურად არ არსებობს და არ აქვს არავის ამ დონემდე სრულყოფილად მიყვანილი სისტემა.

არის რაღაც ფრაგმენტები, პატარა ბიბლიოთეკები, რომლებიც დამეხმარნენ ჩემი თემის დასრულებასა და დახვეწაში, მის ამუშავებაში და რეალიზაციაში.

ერთ-ერთი მთავარი პროგრამა, რაზე დაფუძნებითაც მაქვს გაკეთებული ნაშრომი არის PHP AdeLdap, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი იარაღი პროგრამისტებისთვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია PHP ძრავიდან დაკავშირება Active Directory ბაზებთან და მომხმარებლებისა და ობიექტების შესახებ ინფორმაციის წამოღება და ჩაწერა. [2]

აგრეთვე გამოყენებული მაქვს Microsoft Active Directory ქსელური ადმინისტრირების ბაზა, რომელსაც აქვს მრავალ პროგრამასა და პროდუქტთან ინტეგრირების საშუალება მარტივი მიდგომებით. ვინაიდან Microsoft-ს აქვს მოწინავე ოპერაციული სისტემა, სწორედ მაგიტომ ავირჩიე მასზე დაფუძნებული სისტემის აწყობა და დანერგვა, რაზეც მაქვს დაწერილი ჩემი სადისერტაციო ნაშრომი.

მითითებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის თაობაზე ვარ გამოსული სტუდენტთა საერთაშორისო N86 ღია სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელზეც ახსნილი მაქვს, თუ როგორ არის შესაძლებელი, რომ უბრალო ბაზა ვაქციოთ ხელოვნურ ინტელექტად და როგორ ვასწავლოთ მას ობიექტების ამოცნობა და დახარისხება, რითიც იქმნება ერთგვარი ხელოვნური ნეირონული ქსელი, რისი ანალიზიც მაქვს ჩატარებული ამ თემაში. [11]

მაქვს გამოცემული რამდენიმე პუბლიკაცია, სტატია. ხელოვნური ნეირონული ქსელი ხომ დღესდღეობით ყველაზე აქტუალური თემაა, რაზეც მუშაობენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები და ატარებენ უამრავ

კვლევებს. ამის შესახებ დეტალურად მაქვს ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტატიაში, რომელიც გამოვაქვეყნე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის N21 ჟურნალში 2017 წელს. [12]

ხოლო 2018 წელს გამოვაქვეყნე საერთაშორისო სტატია უკვე კონკრეტულად მომხმარებლების ამომცნობი სისტემის ინტეგრირებაზე აპლიკაციაში, რაც მივიღე დიდი კვლევების შედეგად. ჩემი ეს პუბლიკაცია გამოვიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის N22 ჟურნალში მორიგიშრომათა კრებულის სახით. [13]

ამავე 2018 წელს გამოვაქვეყნე ორი სტატია ჩემს კველვებსა და შედეგებზე დაყრდნობით მართვის ავტომატიზირებული სისტემების საერთაშორისო შრომათა კრებულში. ჩემი მისი პირველი თემა ეხებოდა მონაცემთა გრაფიკულ ვიზუალიზაციას Microsoft Power BI-ს მეშვეობით, რასაც აქტუალურად ვიყენებ ჩემს პროგრამებსა და პროექტებში, რადგან მისი დახმარებით მარტივად კეთდება დიდი მონაცემების გრაფიკულად გამოსახვა, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავზოგოთ საკმაო დრო და რესურსი და გავაუმჯობესოთ ჩვენი კომპანიისა თუ ორგანიზაციის საქმიანობა. [14]

რაც შეეხება მეორე სტატიას, იგი გამოვაქვეყნე ინგლისურ ენაზე, რათა უცხოელ მკვლევარებსაც შეეძლოთ მისი გარჩევა და გამოყენება. თემა ეხებოდა მანქანური დასწავლის მეთოდების გამოყენებას სხვადასხვა სფეროებში, სადაც აღწერილი მაქვს ძირითადი პრინციპები და დებულებები, რაც უნდა ვიცოდეთ ხელოვნურ ინტელექტთან მუშაობისას და მისი დამუშავებისას, რაც გვეხმარება ეფექტურად და ეფექტიანად წარმოვაჩინოთ ჩვენი მექანიზმი ხელოვნურ ნეირონულ ქსელში. [14]

პროგრამის ვიზუალიზაციისთვის ვიყენებ Bootstrap ძრავს, რომელიც არის მსუბუქი, თანამედროვე და ყველა პლატფორმაზე მორგებული,

როგორც მობილურებზე, ასევე პლანშეტებზე, ლეპტოპებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე.

ამ ყველაფრის გაკეთებისთვის კი არ არის საჭირო უამრავი დროის დახარჯვა. არის მარტივი ფუნქციები, რომლების გამოყენებითაც ყველაფერი გაკეთდება ავტომატურად.

თავი 2. კვლევა, შედეგები და მათი განსჯა

დღესდღეობით ყველა კომპანია და ორგანიზაცია ფიქრობს განვითარებასა და პროგრესზე როგორც თავისი კომპანიის, აგრეთვე მისი შიდა ინფრასტრუქტურის.

ყველას სჭირდება შიდა საკომუნიკაციო და ფაილების გაცვლის საშუალება, რისთვისაც ზოგი ყიდულობს პროგრამებს, ზოგი - ლიცენზიებს, ზოგი კი საკუთარი რესურსით წერს მათ.

საკუთარი პროგრამის ქონა რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ მას სჭირდება ბევრი მოვლა და სანამ შედეგამდე მივალთ, ძალიან ბევრი პუნქტია გასავლელი. თუმცა ყველა მოდულის დაწერა აუცილებელი არ არის. როდესაც ვმუშაობთ Microsoft პროდუქტთან, მას აქვს ძალიან მძლავრი ცენტრალიზებული ბაზა Active Directory, რომლის გამოყენებაც შეგვიძლია სისტემებში ავტორიზაციისა და აუთენთიფიკაციისთვის. [1]

მე დავწერე აპლიკაცია, რომელიც PHP-ის მეშვეობით უკავშირდება AD ბაზას და ასინქრონებს მომხმარებლებთან ნებისმიერ სისტემას. ამ მიდგომის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი პროექტის ავტორიზაციის გატარება Windows მომხმარებლის სახელისა და პაროლით ისევე, როგორც მისი მონაცემების მართვა და დაჯგუფება სხვა მომხმარებლებთან, რომლებიც არიან მსგავს პოზიციაზე, დეპარტამენტში, ფილიალსა ან ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

მიდგომა, რომელიც გამოვიყენე, ბევრ დაწესებულებას გაუმარტივებს შიდა მუშაობის პროცესს. მე უკვე დანერგილი მაქვს იგი საქართველოს რამდენიმე დიდ ორგანიზაციაში, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ბაზარზე.

მისი მეშვეობით უამრავი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, რეებსაც დეტალურად განვიხილავ მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში.

ძირითადი კვლევა, რომელიც ჩავატარე, ეყრდნობოდა იმ ტექნოლოგიების შესწავლას, რომელიც არსებობს ბაზარზე და დავასკვენი,

რომ მსგავსი სირთულისა და მასშტაბის პროგრამები ინტერნეტში არ დევს, რის გამოც გადავწყვიტე საკუთარი შედეგი მიმეღო.

ვინაიდან ეს მიდგომა საჭიროებს ბევრ პროგრამულ ჩარევას, კომპანიები თვითონ ერიდებიან მსგავს პროცესში შესვლას, მაგრამ შედეგების გაუმჯობესებისთვის მაინც ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რომ დანერგონ ეს სისტემა.

მთავარი მოდელია - Microsoft Active Directory-ს სრულყოფა, შემდგომ სერვერიდან მასთან დაკავშირება, მონაცემების გადმოქაჩვა და ინტეგრაცია ყველა აპლიკაციაში. [3]

თავი 2.1. Microsoft Active Directory ბაზა

უპირველესია მოხმარებლების დახარისხება დეპარტამენტებისა და ფილიალების მიხედვით. ყველა პოზიციას თავისი წვდომა და უფლებები უნდა ჰქონდეს. ამის საკუთარი სახსრებით გათვალისწინება და დაწერა დიდ რესურსს საჭიროებს.

ძირითადად კომპანიები Windows პლატფორმებზე მუშაობენ და შესაბამისად სერვისიც უნდა ამოვირჩიოთ მასთან თავსებადი. საუკეთესო არჩევანია, როცა მოხმარებლები ცალკე კი არ შეიქმნება, არამედ გაივლიან ავტორიზაციას ავტომატურად - კომპიუტერის სახელისა და პაროლის მეშვეობით. ამის საშუალებას უკვე იძლევა თანამედროვე პროგრამები და სისტემები.



სურათი 1. Active Directory დომეინური ინტეგრაცია.

ყველა მომხმარებელი მოიაზრება ერთი დიდი

დომეინის ქვეშ, რომლებსაც მართავს ადმინისტრატორი. ეს შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენს სასიკეთოდ. სისტემური ადმინები მომხმარებლების მენეჯმენტისთვის იყენებენ Active Directory-ს (აბრევიატურა - AD), სადაც შესაძლებელია თანამშრომლებზე ბევრი დამატებითი ინფორმაციის შევსება, როგორიცაა მათი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფოსტა, სახელი/გვარი და ა.შ.

ეს ყველაფერი ინტეგრირებადია სპეციალური ბიბლიოთეკისა და დაპროგრამების სკრიპტული ენის მეშვეობით. ვასინქრონებთ ბაზას და გვაქვს ყველა ის მომხმარებელი, რომელიც რეგისტრირებულია და ვარჩევთ მარტივად თითოეულ მათგანს და შესაბამისად ვურთავთ უფლებებს.

იმისთვის, რომ შევძლოთ ქსელში მყოფი ყველა კომპიუტერის მართვა და დახარისხება, ანუ ადმინისტრირება, ისინი უნდა იყონ ერთი დომეინის ქვეშ, რომელსაც დავუკავშირდებით AD-თი.



სურათი 2. Windows დომეინური ინფორმაცია.

AD მომხმარებლების ბაზის ინტეგრირება შესაძლებელია მრავალ პროგრამაში. იგი გამოიყენება როგორც Outlook ფოსტაში, ასევე კომუნიკატორში - Microsoft Lync, ასევე Microsoft-ის სხვა გარემოებშიც, როგორიცაა მაგალითად SSRS.



სურათი 3. Microsoft Lync.

თვითონ Microsoft Lync-იც შესაძლებელია დაინტეგრირდეს და გაეშვას Skype-დან სპეციალური კონფიგურაციის საფუძველზე, რომელსაც ფაქტიურად ყველა ის ხედვა აქვს, რაც Lync-ს.



სურათი 4. Microsoft Lync ინტეგრირებული Skype-ში.

Microsoft Lync არის საკომუნიკაციო პროგრამა, რომელში ავტორიზების მერე ჩნდება საშუალება ყველა ოდესმე შემოსული კოლეგის მოძებნის, რომლებიც არ არიან გაუქმებული.

მას აქვს ბევრი ფუნქცია - როგორც ჯგუფური ზარების წამოწყების შესაძლებლობა, ასევე ვიდეო კონფერენციები, ფაილების გადაგზავნა, მიმოწერის ისტორიის ნახვა, რომელიც ინახება და სინქრონდება მთავარი სერვერიდან.

თუმცა AD-ზე წვდომა ყველას არ უნდა მიეცეს. მისი სტრუქტურის ნახვის და შეცვლის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ სისტემურ ადმინისტრატორს და პროგრამისტს, რადგან იგი მოიცავს დიდ და კონფიდენციალურ ინფორმაციას.



სურათი 5. Microsoft Outlook ინტეგრირებული AD-სთან.

ამ ბოლო სისტემას - Microsoft SQL Server Reporting Services-ს სჭირდება ერთი ლინკის გაწერა დასაკავშირებლად, სადაც არის AD-ს სერვერის მისამართი, საიდანაც წამოიღებს შევსებულ ინფორმაციას და გამოიყენებს მას რეპორტების დახარისხებისთვის და შევსებისთვის.



სურათი 6. Windows ავტორიზაცია AD-დან.

AD მართავს აბსოლუტურად ყველა კომპონენტს - როგორც მომხარებლის სურათს, ასევე მის გრაფიკს, სამუშაო დროებს, წასვლა-მოსვლებს, ტექნიკის ფლობებს, სტატუსს,..

სურათი 7. Microsoft Active Directory.

მისი მეშვეობით მარტივად ხდება ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა აპლიკაციებს შორის, რადგან ყველა დაფუძნებული იქნება ერთ ძირითად ბაზაზე - AD-ზე. მაგალითად, მომხმარებელი თუ აღნიშნავს Windows Calendar-ში, რომ ოთხშაბათს ისვენებს, ეგ სინქრონდება მის საფოსტო ყუთთან და მის კოლეგებს უჩვენებს, რომ აღნიშნული პიროვნება ოთხშაბათს არის ოფისს გარეთ. მსგავსი პრინციპების დანერგვა შესაძლებელია მრავალ პროგრამას შორის.

იმისთვის, რომ შევძლოთ AD-სმართვა, საჭიროა მისიადმინისტრირების პროგრამის დაინსტალირება კომპიუტერში.

AD Browser გამოიყურება შემდეგნაირად:



სურათი 8. Microsoft Active Directory Users and Groups.

AD-ს აქვს ხის იერარქია. ყველაფერი იშლება მშობლიდან შვილისკენ. თითოეულ განშტოებას ჰყავს ერთი მშობელი და შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე შვილი. თითოეულ განშტოებაზე დაჭერით გამოდის მისი შიგთავსი ობიექტები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ჯგუფი, ასევე ელემენტი.

ჯგუფები არის რამდენიმე ელემენტის ნაკრები, რომელიც რაღაცა წინასწარ განსაზღვრული ლოგიკით აერთიანებთ მათ.



სურათი 9. MemberOf ჩანართი AD-ში.

"მშობელი" AD-ს ენაზე არის MemberOf, რომელიც მიუთითებს ელემენტის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთეულზე.

შეიძლება ერთდროულად იყო რამდენიმე ჯგუფის წევრი, როგორც ეგ სურათზეა ნაჩვენები - Domain Users და Database Developer. ყველა ელემენტი აუცილებელია იყოს რამე ჯგუფის წევრი.

ნებისმიერი ელემენტისთვის შესაძლებელია როგორც მისი მშობლის ნახვა, ასევე მისი შვილის ნახვა. მშობლიდან მერე გადავალთ მის მშობელზე და ა.შ. სანამ არ მივალთ მთავარ განშტოებამდე. ანუ არის ორი ტიპის ობიექტი - საქაღალდე ან User (მომხმარებელი).



სურათი 10. AD იერარქია.

განვიხილოთ მათი ჩანართები. იგი შედგება რამდენიმე ფანჯრისგან (ტაბისგან), რაც ქვემოთ მოცემულ სქრინშია ნაჩვენები. თავიდან აქტიურია General ტაბი, სადაც წერია მთავარი ინფორმაცია:

- First name - სახელი,
- Last name - გვარი,

- Initials - ინიციალები,
- Display name - საჩვენებელი სახელი,
- Description - აღწერა,
- Office - ოფისი,
- Telephone number - ტელეფონის ნომერი,
- E-mail - ელექტრონული ფოსტა,
- Web page - ვებ გვერდი.



სურათი 11. AD ელემენტის დეტალური ინფორმაცია.

მეორე ფანჯარა არის Address (მისამართების), რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

- Street - ქუჩა,
- P.O. Box - საფოსტო ყუთი,
- City - ქალაქი,

- State/province- შტატი/პროვინცია,
- Zip/Postal Code - საფოსტო ინდექსი,
- Country/region - ქვეყანა/რეგიონი.



სურათი 12. Address ჩანართი AD-ში.

შემდეგი ძირითადი ფანჯარა არის Organization, სადაც იწერება ორგანიზაციის ინფორმაცია:

- Job Title - პოზიციის დასახელება,
- Department - დეპარტამენტი,
- Company - კომპანია,
- Manager Name - მენეჯერის სახელი,
- Direct reports - მოვალეობები.



სურათი 13. Organization ჩანართი AD-ში.

თავი 2.2. ინტრანეტი

AD-სთან ინტეგრირებით და მასზე პროგრამული მანიპულაციით შევიმუშავე უნივერსალური აპლიკაციის შექმნის მიდგომა - ინტრანეტი. ინტრანეტი კი აქვს რამდენიმე განვითარებულ კომპანიას კომპანიას, მაგრამ ისინი ძირითადად ყიდულობენ მზა პროდუქტებს, რომლებიც საკუთარ ძრავზე მუშაობენ - ეს კი პრობლემის გადაჭრის იოლი გზაა, მაგრამ ძალიან ძვირი.

ზოგს კი აქვს ასევე საკუთარი ინტრანეტიც, მაგრამ მასზე მუშაობას საკუთარი რესურსით ძალიან დიდი დრო უნდა. AD ბიბლიოთეკის მეშვეობით, პატარა სკრიპტის დაწერით და ძლიერი პროგრამისტით ეს პრობლემა მარტივად წყდება. ინტეგრირდება Windows-ის სამომხმარებლო ბაზა და ავტორიზაციის სისტემაც მარტივდება და ასევე სრული ინფორმაციის წყაროც ჩვენს ხელთაა.

სურათი 14. ბრაუზერული პროგრამის ავტორიზაცია AD-ს მეშვეობით.

ერთხელ დაწერის შემდეგ კი მისი გამოყენება შეიძლება მრავალ მოდულში. მომხმარებლების უფლებები და ინფორმაცია ხდება წვდომადი პროგრამიდან და მისი დამუშავება და გამოყენება შეიძლება ნებისმიერ ადგილას.



სურათი 15. აპლიკაციის საწყისი გვერდი ავტორიზაციის შემდეგ.

ავტორიზაციაზე იდება წვდომები და ყველა მომხმარებელს თავისი ჯგუფის მიხედვით ენიჭება ხედვები ველებზე და მათი ჩართვის შესაძლებლობა.

მაგალითად, ადმინებს ექნებათ კონფიგურაციის გაკეთების საშუალება, საიდანაც ასინქრონებენ სხვების წვდომებს.



სურათი 16. აპლიკაციის მომხმარებელთა უფლებების გვერდი.

მომხმარებლების სიისთვის გამოვიყენე სტანდარტული DataTable ბიბლიოთეკა, რომელიც დავაკონფიგურირე ისე, რომ მოსახერხებელი იყოს მისი გამოყენება.



სურათი 17. აპლიკაციის კონფიგურაციის გვერდი.

თითოეული უფლების ჩართვა-გათიშვით კონტროლირდება მომხმარებლების უფლებები პროგრამის ნაწილებზე. მაგალითად, თუ ჩართული ექნებათ კლიენტების ძებნის ფუნქცია, მაშინ დაინახავენ მას, ხოლო თუ გავუთიშავთ შესაბამის უფლებას, მაშინ წვდომა აღარ ექნებათ მასზე.



სურათი 18. აპლიკაციის ერთ-ერთი ჩვეულებრივი გვერდი.

ასე მაქვს ყველა ტაბზე უფლებები ჩაშლილი და გაწერილი, რომ მარტივად შეეძლოს ადმინისტრატორს როგორც მათი ცალ-ცალკე მართვა, ასევე გლობალურად.



სურათი 19. სადემონსტაციო გვერდი.

უფლებების ჩაშლა ასევე ხდება პარამეტრების მიხედვით. ზოგს შეგვიძლია მხოლოდ ნახვის რეჟიმი ჩავურთოთ, ზოგს რედაქტირების, ზოგსაც მოდერირების თითოეული გვერდის ნაწილის ჭრილში.



სურათი 20. გვერდი დაკონფიგებული უფლებებით.

რეპორტინგისთვის როდესაც ვიყენებთ Microsoft-ის პროდუქტს, მანდაც შესაძლებელი ხდება მარტივად ინტეგრაცია AD-ს სამომხმარებლო ბაზასთან და მისი აუთენთიფიკაციის გამოყენება.



სურათი 21. რეპორტინგ სერვერის ავტორიზაცია.

დომეინური სახელისა და პაროლის შემდეგ იძლევა საშუალება სერვერის რეპორტების ნახვისა, რაც მოიცავს დიდ უსაფრთხოებას და საიმედოობას, ისევე როგორც დიდი დროის დაზოგვას. [9]



სურათი 22. რეპორტინგ სერვერის რეპორტი.

რეპორტინგ სერვერის საქაღალდეებზეც მოქნედებს იგივე უფლებები. წვდომების ჩართვა შეიძლება როგორც კონკრეტულ პირზე, ასევე ჯგუფზე.



სურათი 23. რეპორტინგ სერვერის მთავარი გვერდი.

ჯგუფური უფლების გაწერა უფრო მიზანშეწონილია, რადგან მაგალითად თუ გვინდა, რომ რუსთავის სერვის ცენტრის მენეჯერს ჰქონდეს რაღაც რეპორტის გენერირების უფლება და 1 წელში იცვლის პოზიციას ან მიდის სამსახურიდან, მაშინ მისი წვდომა აირევა და იქნება თავიდან გასაწერი, ხოლო თუ უფლებას ჩავურთავთ მისი პოზიციის ჯგუფს, მაშინ მის შემცვლელს უკვე ექნება იგივე უფლებები, რაც ჰქონდა ძველ მენეჯერს, ყოველგვარი ხელახალი კონფიგურაციის გარეშე.



სურათი 24. რეპორტინგ სერვერის საქღალდე.

რეპორტინგ სერვერზე უფლებები შეიძლება ჩაერთოთ როგორც კონკრეტულ რეპორტზე, ასევე საქაღალდეზე. საქაღალდეზე წვდომის ჩართვით შეგვიძლია მის ყველა რეპორტზე მივცეთ დაშვება, ან შიგნითაც მანუალურად ვაკონტროლოთ და ზოგი ვაჩვენოთ, ზოგი კი - დავუმალოთ.



სურათი 25. რეპორტინგ სერვერის უფლებები.

რეპორტინგ სერვერს შეუძლია დანახვა AD-ს თითოეული მოდულის, რომელიც ზევით აღვწერეთ. AD ხომ ჩვეულებრივი ბაზაა, რომელზეც შესაძლებელია სკრიპტი დაიწეროს და წამოვიღოთ ნებისმიერი ვარიაციის ინფორმაცია, რასაც შემდგომ SQL-ში გავარჩევთ ერთმანეთისგან და დავადებთ შესაბამის პირობას და ლოგიკას იერარქიის მიხედვით.



სურათი 26. უფლების ვარიანტი 1.



სურათი 27. უფლების ვარიანტი 2.



სურათი 28. უფლების ვარიანტი 3.



სურათი 29. უფლების ვარიანტი 4.

რ

ეპორტის აწყობისთვის საჭიროა Visual Studio და რეპორტინგის სერვისი, რომელიც ინტეგრირდება მასში.



სურათი 30. Microsoft Visual Studio, რეპორტის აწყობა.

რეპორტები ეწყობა ვიზუალურად, ხოლო მათი სკრიპტისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე.



სურათი 31. Microsoft Visual Studio, კავშირი AD-სთან, სკრიპტი 1.

ყველა კატეგორიისთვის იწერება ცალკე სკრიპტი და ბოლოს რეპორტში ჯამდება და ამოდის საერთო დიდი ლოგიკის მქონე რეპორტი.



სურათი 32. Microsoft Visual Studio, კავშირი AD-სთან, სკრიპტი 2.



სურათი 33. Microsoft Visual Studio, კავშირი AD-სთან, სკრიპტი 3.



სურათი 34. Microsoft Visual Studio, კავშირი AD-სთან, სკრიპტი 4.

ყველა სკრიპტს ერქმევა უნიკალური დასახელება. მათი დაწერა შეიძლება როგორც ლოკალურად, ასევე გლობალურად, რომ პაკეტში მყოფმა სხვა რეპორტებმაც მიმართონ.

Visual Studio-ს ყოველი ახალი ვერსიის გამოსვლით უმჯობესდება რეპორტინგ სერვერის ინტერფეისი, ფუნქციონალი, ვიზუალი, ემატება ავტომატური რეპორტების გენერირების საშუალებები და იხვეწება გრაფიკები, ემატება სხვადასხვა სისტემებთან ინტეგრირების მხარდაჭერები.

წამოღებული ინფორმაციის გარჩევისთვის და რეპორტში გამოყენებისთვის არის ჩანართი დაპარამეტრებისთვის, საიდანაც SQL-ს გადაეცემა შევსებული ცვლადის მნიშვნელობა.



სურათი 35. Microsoft Visual Studio, პარამეტრების გაწერა.

მნიშვნელობა შეგვიძლია წამოვიღოთ როგორც ავტომატურად სერვერიდან, ასევე გადავცეთ სტატიკურად ხელით.



სურათი 36. Microsoft Visual Studio, Default პარამეტრები.

AD-დან შეგვიძლია როგორც სრული მონაცემები წამოვიღოთ, ასევე გაფილტრული.



სურათი 37. Microsoft Visual Studio, AD სკრიპტი ფილტრაციით.

პროგრამას ჩაშენებული აქვს შემოსული მომხმარებლის ამომცნობი ფუნქცია, რომლის გამოძახებისთვის საჭიროა მანუალური პარამეტრის გამოძახება და მინიჭება.



სურათი 38. მომხმარებლის ამოცნობა.

ასევე შესაძლებელია შემოსული მომხმარებლის დადარება SQL-ის ბაზიდან წამოსულ მონაცემებთან და გამიჯვნა ერთმანეთისგან.



სურათი 39. მომხმარებლის ამოცნობა დეტალურად.

ამ მიდგომით შევძლებთ დინამიური რეპორტების შექმნას. თუ გვინდა რეპორტი, რომელიც სხვადასხვა ფილიალისთვის და პოზიციისთვის უნდა აგენერირებდეს სხვადასხვა ლოგიკით ერთი და იგივე მონაცემებს, მაგის გასაკეთებლად არაა ამ ყველა ვარიაციის ცალ-ცალკე რეპორტის შექმნა.



სურათი 40. პირობები პარამეტრებზე v1.



სურათი 41. პირობები პარამეტრებზე v2.



სურათი 42. პირობები პარამეტრებზე v3.



სურათი 43. პირობები პარამეტრებზე v4.



სურათი 44. პირობები პარამეტრებზე v5.

ინტრანეტი კომპანიას სჭირდება იმისთვის, რომ მისმა თანამშრომლება შეძლონ ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარება და ფაილების გაცვლა გარე სერვისებისგან დამოუკიდებლად.



სურათი 45. ინტრანეტი v1.

ინტრანეტებისთვის შესაძლებელია მრავალი ინტერფეისის მიცემა და ორგანიზება, გაფორმება და გასტილვა ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით მრავალი ფუნქციონალის მიმატება. იგი არის ჩვეულებრივი პროექტი, რომელიც განვითარებას საჭიროებს.



სურათი 46. ინტრანეტი v2.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების პოლიტიკა არ იძლევა AD-ზე დაშვების უფლებას, შესაძლებელია ინტეგრირება და ავტორიზაციის სხვა სისტემებთანაც, ან პირადი სისტემის შექმნა, რომელიც აგრეთვე შესაძლებელია გახდეს ზოგადი მოდული სხვადასხვა სისტემებისთვის, სადაც იქნება პირადი ბაზა და შიფრაცია.

ინტეგრაციის დროს უნდა შედგეს Job-ი, რომელიც ავტომატურად გაეშვება დროის რაღაც პერიოდში, მაგალითად ყოველ ღამე და წამოიღებს თანამშრომლებს და ჩაწერს ბუფერში. მაგალითად HrAdmin-თან ინტეგრაცია გამოიყურება შემდეგნაირად:

```
DECLARE @Day DATETIME = GETDATE()
SELECT DISTINCT p.IDNo AS pid ,
        CredoBnk.dbo.Trim(p.FirstNameEn) AS FirstName ,
        CredoBnk.dbo.Trim(p.LastNameEn) AS LastName ,
        perstat.PersonStatusName AS PersonStatus ,
        LOWER(ISNULL(perstat.absc, '')) AS absc ,
        ISNULL(CredoBnk.dbo.Trim(rt.FirstNameEn), '') + ' ' +
ISNULL(CredoBnk.dbo.Trim(rt.LastNameEn), '') AS ReportsTo ,
        LOWER(ISNULL(CASE WHEN rp.InternalMail = 'Nina_Akhaladze@credo.ge' THEN
'Nino_Akhaladze@credo.ge' ELSE rp.InternalMail END, '')) AS ReportsToMail ,
        CAST(IIF(iwha.GradeName = 'N/A', '2', iwha.GradeName) AS NUMERIC(17,
2)) AS GradeNameSort ,
        LOWER(CASE WHEN ped.InternalMail = 'Nina_Akhaladze@credo.ge' THEN
'Nino_Akhaladze@credo.ge' ELSE ped.InternalMail END) AS mail ,
        ped.EmployeeCode ,
              IIF(ISNULL(TRY_CAST(u.ShortName AS INT), 0) = 0, 98,
TRY_CAST(u.ShortName AS INT)) AS BranchId ,
        iwha.JobName_S AS JobName ,
        CredoBnk.dbo.Trim(iwha.UnitTitle_S) AS UnitTitle ,
        iwha.LocationTitle AS Location ,
        ISNULL(( SELECT TOP 1
                        CredoBnk.dbo.Trim(p2.PhoneNo)
                 FROM   HR.HRP_SMART.Per.Phones AS p2
                 WHERE  p2.PersonID = p.ID
                        AND p2.PhoneTypeID = 1
                        AND p2.OpenDate <= @Day
                        AND ( p2.CloseDate >= @Day
                              OR p2.CloseDate IS NULL
```

```
                        )
                ), '') AS CorporateNumber ,
        ISNULL(( SELECT TOP 1
                        p2.PhoneNo
                 FROM   HR.HRP_SMART.Per.Phones AS p2
                 WHERE  p2.PersonID = p.ID
                        AND p2.PhoneTypeID = 2
                        AND p2.OpenDate <= @Day
                        AND ( p2.CloseDate >= @Day
                              OR p2.CloseDate IS NULL
                            )
                ), '') AS PrivateNumber ,
        ISNULL(( SELECT TOP 1
                        p2.PhoneNo
                 FROM   HR.HRP_SMART.Per.Phones AS p2
                 WHERE  p2.PersonID = p.ID
                        AND p2.PhoneTypeID = 3
                        AND p2.OpenDate <= @Day
                        AND ( p2.CloseDate >= @Day
                              OR p2.CloseDate IS NULL
                            )
                ), '') AS PhoneNumber ,
        ISNULL(pp.Name, '') AS PositionCategory
FROM    HR.HRP_SMART.Per.Persons AS p
        INNER JOIN HR.HRP_SMART.Per.Contracts AS c ON c.PersonID = p.ID
                                                      AND @Day >= c.StartDate
                                                      AND ( @Day <= c.EndDate
                                                            OR c.EndDate IS
NULL
                                                          )
        INNER JOIN HR.HRP_SMART.Per.vw_PersonEmpDetail_active AS ped ON
ped.PersonID = p.ID
        INNER JOIN HR.HRP_SMART.Per.vw_InternalWorkHistory_Active AS iwha ON
iwha.PersonID = p.ID
        INNER JOIN HR.HRP_SMART.Core.Units AS u ON u.ID = iwha.UnitID
        LEFT JOIN HR.HRP_SMART.Core.PositionCategory AS pp ON pp.ID =
iwha.PositionCategoryID
        LEFT JOIN HR.HRP_SMART.Core.vw_Positions_ReportsTo_Active AS RPTA ON
iwha.PositionID = RPTA.PositionID
        LEFT JOIN HR.HRP_SMART.Per.vw_InternalWorkHistory_Active AS IWA2 ON
RPTA.ParentPositionID = IWA2.PositionID
```

```
        LEFT JOIN HR.HRP_SMART.Per.Persons AS rt ON ISNULL(IWA2.PersonID,
iwha.ReportsToPersonID) = rt.ID
        LEFT JOIN HR.HRP_SMART.Per.vw_PersonEmpDetail_active AS rp ON
rp.PersonID = ISNULL(IWA2.PersonID, iwha.ReportsToPersonID)
        LEFT OUTER JOIN ( SELECT    PersonID ,
                                    ( SELECT IIF(MAX(InternalMail) =
'Nina_Akhaladze@credo.ge', 'Nino_Akhaladze@credo.ge', MAX(InternalMail)) FROM
HR.HRP_SMART.Per.vw_PersonEmpDetail_Active WHERE PersonID = ( SELECT
MAX(SubstitutePersonID) FROM HR.HRP_SMART.Per.Absences_View AS absc WHERE
absc.PersonID = Get_Persons_Statuses_1.PersonID AND @Day BETWEEN absc.StartDate
AND absc.EndDate ) ) AS absc ,
                                    PersonStatusID ,
                                    PersonStatusName ,
                                    StatusID ,
                                    abid ,
                                    bizid ,
                                    matid
                          FROM
Credo.dbo.Get_Persons_Statuses(Credo.dbo.TruncDate(@Day))
                                    AS Get_Persons_Statuses_1
                        ) AS perstat ON p.ID = perstat.PersonID
                            ORDER BY GradeNameSort DESC
```

სტანდარტულად AD-დან ავტორიზებისთვის ვიყენებ adLDAP ბიბლიოთეკას, რომელსაც აქვს ღია ძრავი და დაწერილია PHP ენაზე.იგი გვაძლევს საშუალებას, რომ კომპანია პროგრამულად ძალიან მაღალ დონეზე განვავითაროთ. შესაძლებელია ერთი პროგრამის დაწერა, რომელიც მართავს ყველა სტრუქტურას. ამ სისტემით შესაძლებელი იქნება როგორც მომხმარებლების რეგისტრაცია, ასევე რედაქტირება და გაუქმება, სინქრონი ყველა სისტემასთან, გამოყენება, დამუშავება, ანალიზი.

adLDAP-ის მეშვეობით შესაძლებელია როგორც მომხმარებლებისთვის ავტორიზების გაკეთება, აგრეთვე სესიის დახურვა, რაც შესაძლებელია, რომ ჩავიმახსოვროთ და შესაბამისად გვექნება თანამშრომელთა აღრიცხვა - შემოსვლა/გასვლები, რაც გვაძლევს ღრმა ანალიზის გაკეთების საშუალებას იმავე, ერთი უნივერსალური აპლიკაციიდან მარტივად. [8]

AD-ში ძიებისთვის არის შემდეგი სკრიპტი:

```
$ad = new Adldap($configuration);
$results = $ad->search()->all();
```

შეგვიძლია რომელიმე კონკრეტული თანამშრომლის ინფორმაციის ძიება:

```
$results = $ad->search()->where('cn', '=', 'John Doe')->get();
```

ან სახელის რომელიმე კონკრეტული ნაწილის მიხედვით ძიება:

```
$results = $ad->search()->where('cn', 'starts_with', 'John')->get();
$results = $ad->search()->where('cn', 'ends_with', 'Doe')->get();
$results = $ad->search()->where('cn', 'contains', 'John Doe')->get();
```

ასევე რამდენიმე მომხმარებლსი ერთად ძიება:

```
$results = $ad->search()
        ->where('cn', '=', 'John Doe')
        ->orWhere('cn' '=', 'Suzy Doe')
        ->get();
```

შეგვიძლია წამოვიღოთ ის მომხმარებლები, რომლებსაც შევსებული აქვთ რამე კონკრეტული ველი:

```
$results = $ad->search()->select(array('cn', 'displayname'))->all();
```

ასევე შეგვიძლია სკრიპტშივე დავალაგოთ მონაცემები და ისე წამოვიღოთ:

```
$results = $ad->search()->where('cn', '=', 'John*')->sortBy('cn', 'desc')-
>get();
```

შეგვიძლია პირიქით, წამოვიღოთ მომხმარებლები გარდა რომელიმე თანამშრომლისა:

```
$escapedValue = $ad->getLdapConnection()->escape('John Doe');
```

შეგვიძლია გავიგოთ მომხმარებლების ჯამური რაოდენობა:

```
$results->count();
```

ანუ ბრუნდება სტანდარტული მასივის ობიექტი, რომელზეც შესაძლებელია ნებისმიერი ოპერაციის ჩატარება და იტერაცია.

შეგვიძლია მოვფილტროთ დეტალურად მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ რამე კონკრეტული სახელი:

```
$results = $ad->search()
        ->where('objectClass', '=', $ad->getUserIdKey())
->where('cn', '!', 'John')
        ->get();
```

ან რამდენიმეს ერთად გამოკლებით:

```
$results = $ad->search()
            ->where('objectClass', '=', $ad->getUserIdKey())
            ->orWhere('cn', '!', 'John')
            ->orWhere('cn', '!', 'Suzy')
            ->get();
```

ან რამე ჯგუფში მყოფი ელემენტები:

```
$results = $ad->search()
        ->where('objectClass', '=', 'computer')
        ->get();
```

შეგვიძლია გავფილტროთ ოპერაციული სისტემის მიხედვითაც:

```
$results = $ad->search()
        ->where('objectClass', '=', 'computer')
        ->where('operatingSystem', 'starts_with', 'Windows 7')
        ->get();
```

შეგვიძლია წამოვიღოთ რომელიმე საქაღალდის ელემენტები:

```
$folderName = 'Accounting';

$results = $this->adldap->search()
